

მათგან კარგი სპექტაკლებიც გამოვიდოდა, მაგრამ ამ ფესტივალმა, სამწუხაროდ, დაკარგა თავისი უნიკალურობა და დრამატურგია ფესტივალის ორგანიზატორებისათვის აღარ წარმოადგენს მთავარ ღირებულებას.

ჩემთვის, ვლადიმერ სნეგურჩენკო არის ყველაზე საინტერესო და თანამედროვე უკრაინელი დრამატურგი, რომელიც წერს ყველაზე გლობალურ პრობლემებზე. მისი ტექსტი იწვევს უამრავ ასოციაციას და რეჟისორსა და მსახიობს აძლევს რეალიზაციის დიდ არეს. ამ ტექსტებს აქვს თავისი პოეტიკა და კარგი თეატრალური ფორმა, მაგალითად, მისი პიესა „ჩრდილოეთის ციალი“.

ვიმედოვნებ, რომ უკრაინულ დრამატურგიაზე მოთხოვნის პრობლემა კვლავ დადგება დღის წესრიგში თეატრში, ეს პრობლემა როდისმე გადაიჭრება და ჩვენს ქვეყანას ამ დარგში აღიარებენ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს მსოფლიო ქვეყნებს შორის.

## ნედა ნეჟდანა

### ის, ვინც კარს ალებს

შავი კომედია ნაციონალური ტრაგედიის თეატრისათვის

*ინგლისურიდან თარგმნა სალომე ბუბუტიევილიმა*

მონაწილეობენ:

პირველი ქალი, ნატალია 30-32 წლის.

მეორე ქალი, ვიქტორია, 25-26 წლის.

*მოქმედება ხდება მორგში, უკრაინაში, თანამედროვე დროში, ზამთარში.*

#### პროლოგი

*მორგის მისაღები ოთხი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს კარები ჩანს. შესაძლებელია ოთახში იდგეს ორი დივანი. ოთახის შუაგულში ქალი მაგიდას მისჯდომია, მუსიკალური ფლეერით პოპულარულ მელოდიას უსმენს და ხმას აყოლებს, თან სავარაუდოდ ქალების ჟურნალს ფურცლავს.*

**პირველი ქალი:** რას არ მოიგონებს კაცი - ან სიცილით გაიგუდები ან ტირილით გასკდები. ნუ, ვიტყვოდი, ეს კაბა მოხდენილიცაა და სექსუალურიც, მაგრამ ამას ისე უხდება, როგორც ძროხას უნაგირი. თუმცა მე კი მომიხდებოდა *(თმებს ისწორებს და საკუთარ სხეულს შეათვალიერებს)* უკაცრავად მაგრამ, მაინტერესებს სად ცავიცივა ეს კაბა - მკვდრებს გავეპრანჭო? ამ დაწყველილ მორგში, სხვა რა უნდა მოგივიდეს თავში. *(ჟურნალს გადაფურცლავს)* ოჰ, სავარჯიშოები მკერდისათვის. ზუსტად ეს მჭირდებოდა, თორემ ვატყობ მალე მომიწევს საკუთარი ძუძუების მიკროსკოპით ყურება. *(მაგიდიდან დგება და ვარჯიშს იწყებს)* კარგია, მაგრამ როგორ მოვიყვანო მკერდი მოქმედებაში? *(სცენის უკანა ნაწილიდან უცნაურიჭრიალის ხმა ისმის, ქალი ყურადღებით უსმენს)* ჩემი მკერდი ხომ არ ჭრაჭუნებს? *(ისევ ჭრიალის ხმა)* ვაიმე, მგონი თავვია *(ჭრაჭუნის ხმა ძლიერდება)* ჰო, ნამდვილად თავგვებია, გოჭებივით დარბიან. უნდა მოვწამლო: შეიძლება

ვერდავხოცო, მაგრამ ჯანმრთელობას ნამდვილად შევურყევ. ვირთხები რომ იყვნენ? (ისევ ჭრიალის ხმა) მითხრეს მშვიდი სამუშაო იქნებაო, წყნარი და სუფთა, მშვიდობიანი კლიენტურა, არანაირი კამათი და ვაჭრება. ერთადერთი შეიძლება სუნი არ მოგეწონოსო. საკმარისია! რა მნიშვნელობა აქვს თავგია თუ ვირთხა. აბა, მოვდუნდეთ! (ყურსასმენებს იკეთებს)

*ამ დროს იღება ოთახის მარჯვენა კარი. უცნაური ნათებით შემოდის ნახევრად შიშველი ქალი ფეხზე იარლიყით. პირველი ქალის გული მისდის. მეორე ქალი ფრთხილად შემოდის ოთახში და ირგვლივ იყურება. ლამაზია, მაგრამ სახეზე თეთრად გათენებული ღამის კვალი ეტყობა. თავდაპირველად ვერც კი ამჩნევს პირველ ქალს*

**მეორე ქალი:** ჰეი, სადა ვარ? საზიზღარ ოფისს ჰგავს, თუ გამოსაფხიზლებელია. მოიცა, სხვები სად არიან? ნუთუ მარტო მე ვარ მთვრალი მთელ ქალაქში? იქნებ ალკოჰოლიკების გამოსასწორებელი დაწესებულებაა, და ღვინისგან რომ გავითიშეაქ მომათრიეს? ასე საშინლად რატომ ცივა? (მხოლოდ ახლა შეამჩნევს რომ ნახევრად შიშველია) გადასარეგია. რამე მაინც გადაეფარებიათ. (საწოლის გადასაფარებლების გროვას მოჰკრავს თვალს, ერთ-ერთ მათგანს ტანზე შემოიხვევს ბერძნული ტუნიკივით) ანტიკურ სტილში ვიქნები გამოწყობილი. (მაგიდაზე დავთარს ხედავს) მორგის დავთარი ნომერი 5. ვაიძე, ეს მორგია. ძვირფასო გოგონავ, გონების დაბინდვამდე დაგიღვევია, მეხსიერება დაგცარიელებია, ნაკუწებად ქცეულა, მაგრამ ინტელექტის ნიშნები მაინც შეგრჩენია. გამარჯობა, არის აქ ვინმე სულიერი? რა სისულელეაამ კითხვის დასმა მორგში?! (სკამზე ჯდება, პირველ ქალს შენიშნავს) ვაი, შეიძლება... (უახლოვდება) მგონი არ სუნთქავს. მოიცა, ეს რანაირი მორგია? საღორეა, მორგი კი არა. სად გაგიგიათ გვამები და ცოცხლები ერთად ეყაროს და იქვე ლოთებიც დაეხეტებოდნენ. ამასობაში გამოვფხიზლდი კიდევ. სადმე უნდა გადავიყვანო, თორემ ცოტა არაადამიანურია მისი ასე დატოვება.

*პირველ ქალს დივანთან მიათრევს. სწორედ მაშინ ახელს თვალებს პირველი ქალი. მეორე ქალს შეეშინდება და უკან გახტება.*

**პირველი სცენა**

**მეორე ქალი :** გადი აქედან! არ მომიახლოვდე, დარჩი სადაც ხარ.

**პირველი ქალი:** (გაოგნებული) ოჰ, უკაცრავად მაგრამ გვამს თქვენ გავხართ.

**მეორე ქალი:** რაა? გვამისაგან მესმის?

**პირველი ქალი:** თქვენ ხომ მოკვდით? როგორ მოხდა რომ ლაპარაკობთ? მოიცა სიზმარში ვარ?

**მეორე ქალი:** რათქმა უნდა არა, მაგრამ შეიძლება რაღაც მარადიულობის ტიპის სიზმარი იყოს. იმიტომ მხედავთ, რომ უკაცრავად, მაგრამ მგონი სული ამოგხდათ.

**პირველი ქალი:** სადა ვარ?

**მეორე ქალი:** რა თავხედი გვამები არიან ჩვენს დროში, მარილზე გავიდა და როგორ კითხვებს იძლევა? ტკბილად გმინავთ, საიქიოს რომ უმახიან იქ.

**პირველი ქალი:** თქვენ ვინლა ხართ?

**მეორე ქალი:** აქ რამდენიმე ვარიანტი გვაქვს: ჯერ კიდევ გვამი, უკვე გვამი ან უბრალოდ გვამი.

**პირველი ქალი :** ანუ თქვენი აზრით მე უკვე ... ? მოიცა როგორ?

**მეორე ქალი:** როგორ და სიცოცხლე შეწყვიტეთ.

**პირველი ქალი:** არა, არ მინდა რომ.... *(ცრემლები წამოსცვივა)*

**მეორე ქალი:** *(უახლოვდება და აწყნარებს)* ყველას უწევს ამ გზის გავლა. სულაც არ არის საჭირო ნერვიულობა. ჩვენს დროში ცხოვრება ძვირი სიამოვნებაა, ეს უნდა იყიდო, ის უნდა იყიდო, რად გინდათ. მკვდარს კი მხოლოდ კუბო სჭირდება.

**პირველი ქალი:** *(ტირილით)* იცით რა ძვირია დღეს კუბოს შექმნა?

**მეორე ქალი:** თქვენ კი არა, თქვენი ქმარი იყიდის. თქვენ კუბოში იწვებით მშვიდად და წყნარად, არ მოგიწევთ იმაზე ფიქრი თუ რა ჩაიცვათ და როგორ გამოკვებით საკუთარი მომაკვდავი მძორი. ყვავილებს მოიტანს ხოლმე თქვენს საფლავთან. ხშირად გჩუქნადათ ყვავილებს ცხოვრებაში?

**პირველი ქალი:** კი მაგრამ, არც კი გამოვმშვიდობებოვარ, ეს ისეთი დარტყმა იქნება მისთვის.

**მეორე ქალი:** დარტყმა? არა, პირიქით შვებით ამოისუნთქავს. აცადეთ მას შეიგრძნოს თავისუფლება.

**პირველი ქალი:** მოიცა როგორ მოხდა ეს ყველაფერი? ბოლოსდაბოლოს ჯანმრთელი ვიყავი.

**მეორე ქალი:** ზუსტად ახლახან ახსენეთ ქალბატონო - წარსულ დროში, იყავით. როგორ ჯანმრთელობას გულისხმობთ ისეთ სამყაროში სადაც ჩვენ ვცხოვრობთ? ნიადაგი გაჟღენთილია პერსტიციდებითა და ჰერბიციდებით. ჰაერი კიდეც, უკაცრავად მაგრამ, ცამდე ყარს განავლის სუნად. H<sub>2</sub>O, კი ამ ფორმულის ჭეშმარიტი გაგებით, საერთოდ აღარ არსებობს. და როცა ამ ნაგვით უკვე ყელამდე ხარ სავსე, ვეღარაფერს გახდები.

**პირველი ქალი:** ცოტა ხნის წინ მკერდი რომ ფორმაში მომეყვანა, სავარჯიშოებს ვაკეთებდი - სიამოვნებისთვის კი არა - ნუ, თითქმის სიამოვნებისთვის - და ყველა საჭირო გამაჯანსაღებელ აბებსაც ვიღებდი.

**მეორე ქალი:** რა უაზრო ფულის ხარჯვაა! როგორც ყოველთვის, ეგ ამბავი მწვავე გულის შეტევით და ფეხების გაფშვკით სრულდება.

**პირველი ქალი:** დმერთო ჩემო, ეს რა სიტყვებს იყენებთ? როგორ შეგიძლიათ ხუმრობა ასეთ დროს? ნუთუ საერთოდ არაფერს ნანობთ ამ ქვეყნად?

**მეორე ქალი:** კი, რაღაცეებს, მაგრამ რა აზრი აქვს გოდებას? ვის აუჩუყებ გულს მაგ შენი ცრემლებით? იმ ავადმყოფ ქალს თავზე ნაწნავით პრემიერ- მინისტრობაზე რომ ოცნებობს? ჩალადც არ უღირხარ არც შენ და არც სხვა ვინმე. ვამჯობინებ მტკიცე ბაგითა და ვარდისფერი ლოყებით შევხვდე ვიდრე მოლურჯო ფერმკრთალი სახით.

**პირველი ქალი:** *(სარკესთან მიიღბენს საკუთარ თავს რომ შეხედოს)* სხვათაშორის გვამივით სულაც არ გამოვიყურები, და არაფერი მეტყობა მაგ თქვენი მოლურჯო ფერმკრთალობისა.

**მეორე ქალი:** რა, დაუყოვნებლივ ეფექტს მოელოდით? ამას რამოდენიმე დღე სჭირდება. მაგას სჯობს უფრო მნიშვნელოვან საკითხზე იფიქროთ. სასაფლოზე ადგილი გააქვთ?

**პირველი ქალი:** არა.

**მეორე ქალი:** ნათესავზე რას იტყვი? დღეს ისიც შეიძლება მოხერხდეს, რომ საფლავი რომელიმე ნათესავთან ერთად გაიზიარო.

**პირველი ქალი:** (ამოიხრავს) არა, სამწუხაროდ, ყველა ცოცხალია.

**მეორე ქალი:** აჰა, გასაგებია, მაშინ შემდეგი გაჩერება კრემატორიუმთან იქნება.

**პირველი ქალი:** რა, ასე ცოცხლად უნდა დამწვან?

**მეორე ქალი:** პირველი, ცოცხლად კი არა, მკვდარი ხარ. მეორე, რატომაც არა? არ ჯობია უცებ დაიწვე ვიდრე, უკაცრავად მაგრამ, საფლავში ნელ-ნელა დალპე?

**პირველი ქალი:** ფუუუ... მომისმინე, სხვა არაფერი გაქვს სალაპარაკო? რას დავყუდებულვართ აქ ასე უაზროდ? სადაა სამოთხე, ჯოჯოხეთი, სინათლე გვირაბის ბოლოს ან ბოლოსდაბოლოს რაიმე ნიშანი საიქიო ცხოვრებისა?

**მეორე ქალი:** ალბათ მოვა ვინმე ჩვენს წასაყვანად. წარმოიდგინე რამდენი ადამიანი დაწანწალებს საიქიოს კულისებში. ალბათ დიდი რიგია.

**პირველი ქალი:** შენ ბოლო იქნები რიგში?

**მეორე ქალი:** შეიძლება.

**პირველი ქალი :** მაშინ, შემდეგი მე ვიქნები. აი, ახლა უკვე ვნერვიულობ.

**მეორე ქალი:** არაფერია სანერვიულო, უკვე ყველაფერი უკან მოიტოვე.

**პირველი ქალი:** ახლა რა უნდა ვქნათ?

**მეორე ქალი:** რამის კეთება ახლა უადგილო იქნება. დაწყნარდი და... როგორ უნდა ვთქვა? ... ჰო განისვენე. სხვათაშორის რას იტყვი ერთმანეთი რომ გავიცნოთ? ბოლოს და ბოლოს უკანასკნელ გადასახლებაში მივდივართ. ჩემი სახელია ვიქტორია, შენი?

**პირველი ქალი:** ნატალია.. ნატალია ჰეორჰიენა

**მეორე ქალი:** ნა-ტა-ლია ჰე-ორ-ჰიენა. წარმოგიდგენია რა მშვენიერი იქნება შენი სრული სახელი გრანტის ქვაზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული, ქვემოთ კიდევ ამგვარი ეპიტაფია „ გულწრფელად მადლიერი შთამომავლობისაგან!“

**ნატალია:** მაგრამ მე შთამომავლები არა მყავს.

**ვიქტორია:** მაშინ ასე იყოს: „მოსაგონრად. ღირსება და დიდება შენი მარადის იცოცხლებს“

**ნატალია:** ამინ. მაგრამ მაგდენ ხანსაც ვერ გავძლებ.

**ვიქტორია:** მართალია, გაცილებით ადრე მოკვდები. ამაზე რას იტყვი? „ ჩვენს გულებში იცხოვრებ.“

**ნატალია:** სითბო აკლია და ფორმალურად ჟღერს.

**ვიქტორია:** ოჰ, ასე ძნელია შენი სიამოვნება? კარგი სურათი მაინც თუ გაქვს საფლავის ქვისთვის?

**ნატალია:** არა. საპასპორტო სურათის გარდა არაფერი ვარგა. არც ფოტოგენური ვარ და არც ჩემი ფიგურაა მთლად მოსაწონი...

**ვიქტორია:** კუბოსთვის მშვენიერი ფიგურა გაქვს რა გინდა. მთავარი რაცაა, გარკვეული ეკონომიკური უპირატესობანი გააჩნია: რაც უფრო პატარაა კუბო, მით უფრო იაფი ჯდება და რაც უბრალოა ქსოვილი შენს მოსაკაზმად მით უკეთესი.

**ნატალია:** ნამდვილად. წესიერი არაფერი მაქვს რომ ჩავიცვა. ამას წინათ ბეწვის პალტო ვიყიდე.

**ვიქტორია:** ოჰ არა, ბეწვის პალტოთი კუბოში ყოფნა ცოტა უხამსი იქნებოდა. დაგცხება კიდეც.

**ნატალია:** კიდეც ახალი ფერადი საცურაო კოსტიუმი შევიძინე, ყვავილებით მოჩითული.

**ვიქტორია:** არა, არც ყვავილები წავა. რაღაც შავი ან მუქი ლურჯი გჭირდება. ეს რა საშინელი საბჭოური ჩვევა გვაქვს, თავს იმის უფლებას ვაძლევთ რომ ყველაფერი ბოლოსთვის გადავდოთ.

**ნატალია:** მაგრამ სიკვდილი ისე მოულოდნელად მოვიდა რომ.

**ვიქტორია:** ისე დღეს უკვე ყველას აფრთხილებენ... წინასწარ. ისე რომ ყველაფერს გვასწავლიან. მანქანის ტარება გინდა? ძალიან კარგი, აიღე სამთვიანი მართვის კურსი, ჩააბარე გამოცდა და მხოლოდ მაშინ მოგცემენ მართვის მოწმობას. მაგრამ სიკვდილისთვის არავინაა მზად. მე მგონი, კარგი იქნება რამე კურსი ან გამოცდა იყოს ამ საგანთან დაკავშირებით. თუ კურსის არჩევას ვერ მოახერხებ, ნუ იჩქარებ ბუნებისთვის ვალის გადახდას.

**ნატალია:** მეც ზუსტად მაგ აზრს ვეჭიდები. ჯერ კიდეც ღლაპი ვარ მაგ საკითხში. რა მოხდება რომ არ მიგვიღონ?

**ვიქტორია:** მე რას მეკითხები? იმდენი ვიცი რამდენიც შენ.

**ნატალია:** მაგრამ ისე ჩანს თითქოს უამრავი ფაქტი იცი ცხორების შესახებ.... თითქოს უკვე ათჯერ მაინც მომკვდარხარ.

**ვიქტორია:** იცი რატომ? ლოგიკურად ვაზროვნებ. რატომღაც ახლა თავი მტკივა. იქნებ ბევრი ფიქრი საზიანოა გვამებისათვის?

**ნატალია:** აი, გვამებისთვის კი მართლა აღარაფერია საზიანო.

**ვიქტორია:** ჭეშმარიტი ნათქვამია, ასე ვიტყვოდი. აუცილებლად რაღაც უნდა მივიღო თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ. *(მაგიდაზე აბებს ეძებს, რამოდენიმეს გადაყლაპავს, მაგიდასთან ჩაიკეცება და იძინებს)*

**ნატალია:** მეც მომეცი ცოტა, ამ უცნაურმა ამბებმა თავბრუ დამახვია. *(ისიც სვამს აბებს)*  
ნარკოტიკული ნივთიერების გემო აქვს.... იქნებ განვისვენო კიდეც. *(დივანთან მიდის და წვება)*

*(შუქი ნელ-ნელა ქრება)*

**მეორე სცენა**

**ნატალია:** (იღვიძებს, თანდათანობით დგება ფეხზე, თვალებს ისრებს, ოთახში გაივლის, ვიქტორიას შეამჩნევს, უახლოვდება და მის გამოსაფხიზლებლად ოდნავ ახველებს.) უკაცრავად მაგრამ აქ რას აკეთებთ?

**ვიქტორია:** (ნახევრად გამოფხიზლებული, ვერ გებულობს რა ხდება მის თავს) სადა ვარ? მოიცა ერთი წუთით.... მე ხომ ტოლიკთან ერთად წამოვედი? იცნობთ მას?

**ნატალია:** (გაღიზიანებული) არა და არც მინდა ვიცნობდე.

**ვიქტორია:** თქვენთვის უკეთესი. ერთი უბრალო ნამირალაა- დამატრო და გამომყვა, თუ მგონი სხვა მხარეს წავიდა? გონზე რომ მოვედი, საშინლად ციოდა. მერე ირგვლივ გვამები ვნახე... და თქვენც მგონი ერთ-ერთი მათგანი იყავით. ახლა გამახსენდა, თქვენ მგონი ნატალია გქვიათ.

**ნატალია:** მართალია. და თქვენ - ვიქტორია. მგონი სიზმარი არც ყოფილა, არა?

**ვიქტორია:** რა სიზმრებზე მელაპარაკები? შემომხედე. თვალები მოჩვენებასავითა მაქვს გაყინული, ფეხზე კიდევ იარლიყი მაქვს ჩამოკიდებული, ერთი ტიპიური წარმომადგენელი ვარ გვამთა ოჯახისა. უკეთ არც შენ გამოიყურები.

**ნატალია:** აბსურდია. მე და მკვდარი?

**ვიქტორია:** არა, შენ უბრალოდ ირგვლივ დაეხეტებოდი და გადაწყვიტე მორგში ნომერი 5 ჩამომხტარიყავი - მიმზიდველი სანახაობაა.

**ნატალია:** მორგი ნომერი 5? მაგრამ აქ ხომ სანიტრად ვმუშაობ? ეს განა იმას არ ნიშნავს რომ ცოცხალი ვარ?

**ვიქტორია:** მაშინ გვამივით რატომ ეგდე ძირს?

**ნატალია:** კი არ ვეგდე, უბრალოდ გული წამივიდა შენს დანახვაზე. მოჩვენება მეგონე, მართალია ეს მორგია, მაგრამ მოსიარულე გვამები მაინც იშვიათობაა. შენ პირველი ხარ.

**ვიქტორია:** აი ახლა კი მართლა დავიბენი. ცოცხალი ვარ, გვამი თუ მოჩვენება?

**ნატალია:** შეგვიძლია ერთმანეთს ვუჩქმიტოთ. (ჩქმეტს ვიქტორიას)

**ვიქტორია:** აუ, მეტკინა!

**ნატალია:** ყველა ასე გაიძახის.

**ვიქტორია:** კარგი, წარმოვიდგინოთ რომ ორივე ცოცხლები ვართ, მაგრამ აქ როგორ აღმოვჩნდით?

**ნატალია:** მოიცა ერთი წუთი. შენ რაღაც ქეიფი ახსენე ხო? შეიძლება უგონოდ გაილეშე, ქუჩაში სიცივისაგან ძვლები გაგეყინა და მკვდრად ჩავთვალეს.

**ვიქტორია:** ექიმმა როგორ დაადასტურა ჩემი სიკვდილი?

**ნატალია:** საკვირველი ისაა რომმაც ექიმს ჯერ კიდევ რომ არ დაუდასტურებია საკუთარი გარდაცვალება. სამსახურში გახეული მთვრალი მოდის და მერე ყველაფერი ავტოპილოტზე ირთვება.

**ვიქტორია:** ასეთ ხალხს რატომ იტოვებენ?

**ნატალია:** უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს, შენ ხარ პირველი. მადლობა ღმერთს აქ მოგიყვანეს და არა კრემატორიუმში. ნაკლები უნდა დალიო ხოლმე.

**ვიქტორია:** ჯერ კიდევ არ გადამსვლია ჩვევაში. ესეგი ცოცხლები ვართ, არა?

**ნატალია:** მადლობა ღმერთს. ყველაფერი კარგია რაც კარგად სრულდება.

**ვიქტორია:** მე კი ვიტყოდი რაც არ სრულდებაო. *(ორივე იცინის)* უი, სახლში უნდა გადავრეკო, ალბათ ნერვიულობენ კიდევ.

**ნატალია:** ოღონდაც არ უთხრა საიდან რეკავ.

**ვიქტორია:** შეიძლება? *(ცდილობს დარეკოს მაგრამ არ გამოსდის)* მგონი ხაზი გაფუჭებულია.

**ნატალია:** ეგ როგორ? აბა, მიმიშვი, ვცადო *(ცდილობს დარეკოს, მაგრამ არც მას გამოსდის)* უცნაურია, მცირე ზუზუნიც კი არ ისმის. არ ინერვიულო ქუჩის კუთხეში ტელეფონია.

**ვიქტორია:** *(კარებთან მიდის, მაგრამ უცებ ჩერდება)* ფუ შენი, ასე ჩაცმული ხომ ვერ გავალ გარეთ. მაგ შემთხვევაში ძალიან გამიმართლებს გაუპატიურებას ან საგიჟეთში წათრევას თუ გადავურჩები.

**ნატალია:** მოიცა! ტანსაცმელი სხვა ოთახშია. იმედი მაქვს მოსვლამდე მაინც გეცვა რაიმე.

**ვიქტორია:** რათქმა უნდა, ერთ დროს მეცვა. ზოლიანი პიჯაკი.

**ნატალია:** *(ხელს კრავს კარს, მაგრამ აღმოჩნდება რომ ჩაკეტილია)* რა ჯანდაბაა! ჩაკეტილია თუ ვიღაცს უღელურად გვებუმრება? მოიცა! აქ ავარიული გასასვლელიცაა. *(მეორე კართან მირბის, ცდილობს გააღოს, მაგრამ ისიც ჩაკეტილი ხვდება)* რას დამდგარხამ მიწაში ფესვგადგმულივით? მომეხმარე. *(ცდილობენ კარის გაღებას, მაგრამ უშედეგოდ)*

**ვიქტორია:** ასე, ასე, ამასაც გასასვლელი ქვია რა. მაინტერესებს ერთი რამდენ ხანს უნდა ვიყოთ გაჭედნილები ამ ხვრელში? ჰო მართლა, რომელი საათია?

**ნატალია:** *(საათს დახედავს)* გაჩერდა. ალბათ გონება რომ დავკარგე მაშინ დავარტყი იატაკს. შენ გაქვს საათი?

**ვიქტორია:** ერთადერთი რაც თან მაქვს ეს იარლიყია. *(ფეხს მაღლა სწევს და ყურადღებით აკვირდება იარლიყს)* ზუსტად ასე ვფიქრობდი - ზედ ნომერი 13 აწერია. აი, ამ ნომრით კიდევ ადამიანურად სიკვდილის საშუალებასაც არ მოგცემენ.

**ნატალია:** ახლა რაღა ვქნათ? და რაც ყველაზე მთავარია, ეს რა ჯანდაბას ნიშნავს?

**ვიქტორია:** რას იტყვი კარი რომ ჩამოვანგრიოთ?

**ნატალია:** აზრი არ აქვს, ფოლადისაა.

**ვიქტორია:** რა უაზრო ქვეანაში ვცხოვრობთ. რატომ უნდა ჰქონდეს მორგს ფოლადის კარი. გვამების გამტაცებლებისგან თავის დასაცავად თუ მკვდრების გაქცევას ერიდებიან?

**ნატალია:** არა ეგ არ არის მიზეზი. ადრე თავშესაფარი იყო ბირთვული, ქიმიური და მსგავსი რამეებისაგან თავის დასაცავად. სადღაც ინსტრუქციაც უნდა იყოს.

**ვიქტორია:** (მოძებნის ინსტრუქციას) აი ისიც (ინსტრუქციას კითხულობს, ნატალიაც მას უერთდება)

**ნატალია:** (კითხულობს) სახიფათო შეტევის შემთხვევაში, უსაფრთხოების სისტემა აქტიურდება და კარი იკეტება.

**ვიქტორია:** ამას გულისხმობდი?

**ნატალია:** არც არაფერს ვგულისხმობდი, ის წავიკითხე რაც წერია. იქნებ შემთხვევითობაა რამე.

**ვიქტორია:** და ტელეფონი? ესეც შემთხვევითია?

**ნატალია:** ღმერთო ჩემო, სულ დამბურძგლა. არ შემიძლია ამის დაჯერება.

**ვიქტორია:** როცა ჩერნობილის აფეთქება მოხდა, არც მაშინ ჯეროდა ვინმეს.

**ნატალია:** ისევ რომ აფეთქდეს, მერე?

**ვიქტორია:** ვინ იცის. ნებისმიერ შემთხვევაში გარეთ გასვლა საშიშია. არაფერია გამორიცხული: ქიმიური დაბინძურება, რადიოაქტიური ნალექები, ეპიდემია...

**ნატალია:** სად ჯანდაბიდან უნდა მოსულიყო ამდენი ნაგავი? ყველაფერი თითქოს მშვიდობიანად იყო.

**ვიქტორია:** მარტივი ახსნა აქვს. ამერიკელები დაიღალნენ ჩინელების ექსპანსიონისტური გამოხტომებით და ატომური რაკეტა ჯეჯგვეს. რუსები ამხანაგი ჩინელების გვერდით დადგნენ და საპასუხო დარტყმა განახორციელეს, შედეგად ამერიკელებმაც დაუშინეს ატომური ბომბები მოსკოვს. ახლა კი მთელი ეს რადიოაქტიური ნაგავი ჩვენ გვაწვიმს თავზე.

**ნატალია:** აშკარად უკუღმა დატრიალდა ჩემი იღბალი, ასეთ დროს მორგი რომ მოვხვდი. მწამდა, ეს პოზიცია ჩემი პროფესიული ამბიციების უკანასკნელი საფეხური იქნებოდა, მაგრამ მგონი უარესი რამ აღმოჩნდა.

**ვიქტორია:** გააჩნია ამას როგორ შეხედავ. თავიდან თითქოს ჩვენ ვიყავით მკვდრები, როცა ყველა დანარჩენი ცოცხალი იყო. მაგრამ ახლა შესაძლოა პირიქითაც იყოს.

**ნატალია:** შენ რა მართლა გჯერა, რომ ჩვენ უკანასკნელი ადამიანები ვართ დედამიწაზე?

**ვიქტორია:** შესაძლებელია ასეც იყოს. ვინ იცის.

**ნატალია:** მოიცა, ღმერთი მხოლოდ ორ ქალს რატომ დატოვებდა ცოცხალს? აზრი ვერ გამომაქვს აქედან. მარტო ნოემ, კიდობანში თითო წყვილი აიყვანა ყველა არსებისა. ჩვენგან რა სარგებელი იქნება?

**ვიქტორია:** მართლაც რომ შეუცნობელნია გზანი უფლისა. იქნებ ამით სურდა, სამუდამოდ წერტილი დაესვა ომისათვის. ერთხელ ფილმი ვნახე სადაც გოგონებს რაღაც ტესტირებას უტარებდნენ. ბიოლოგიაში როგორ ხარ? აბა, რა არის ხელოვნური განაყოფიერება?



**ნატალია:** ბოლოსდაბოლოს ექიმი ვარ. ხელოვნური უბრალოდ ხელოვნურს ნიშნავს, მაგრამ გინდა არ გინდა მამაკაცი მაინც საჭიროა სასურველი შედეგის მისაღწევად. *(უცებ ტელეფონი რეკავს ყურისწამლები ხმით, ზარმა ქალი ადგილზე გააშეშა)*

**ვიქტორია:** უპასუხე, ეს შენი სამსახურია.

**ნატალია:** *(იღებს ტელეფონს, არაფრისმთქმელი ტონით პასუხობს)* გისმენთ... დიახ... დიახ... *(კიდებს ყურმილს. და ჩუმადაა)*

**ვიქტორია:** აბა, ვინ იყო?

**ნატალია:** არ ვიცი....

**ვიქტორია:** მოიცა კაცის ხმა იყო თუ ქალის?

**ნატალია:** კაცისას გავდა.

**ვიქტორია:** მადლობა ღმერთს, ერთი კაცი მაინცაა ცოცხალი. რაო რა თქვა?

**ნატალია:** წავიდნენ და მალე დაბრუნდებიან.

**მესამე სცენა**

**ვიქტორია:** გვამების წასაღებად მოდიან?

**ნატალია:** არა, მაგ შემთხვევაში სხვანაირად იტყოდნენ. ჩემთვის მოდიან, ან ჩვენთვის.

**ვიქტორია:** და ეს რას ნიშნავს?

**ნატალია:** ნეტავიცოდე....

**ვიქტორია:** ტელეფონი ხომ მაინც ჩაითო *(ყურმილს იღებს)* ეი, ისევ გათიშულია.

**ნატალია:** იქნებ განზრახ გააკეთეს ისე რომ ზარი მხოლოდ ერთი მხრიდან შემოდის. უცნაური ფოკუსებია, ვერაფერს იტყვი.

**ვიქტორია:** მოდი, ახლა ლოგიკურად ავწნ-დავწონოთ ყველაფერი: თუკი ცოცხლები ვართ, მაშინ ეს ვიღაცის საზიზღარი ხუმრობაა და უნდა დაველოდოთ სანამ თამაშს არ მორჩება.

**ნატალია:** და თუ ცოცხლები..... არა ვართ?

**ვიქტორია:** მეტი მიზეზი გვაქვს ლოდინისათვის. სხვა გამოსავალი მაინც არ არის.

**ნატალია:** *(აღდება, წუთით ჩერდება)* მაგრამ ასე გულხელდაკრეფილი ვერ გავჩერდები! *(წამოხტება)* რამე გავაკეთოთ!

**ვიქტორია:** სიგარეტი გაქვს?

**ნატალია:** ჰო, მერე რა?

**ვიქტორია:** ხომ თქვი რამე გავაკეთოთ-თქო? ჰოდა, მოვწიოთ (*ნატალია ორ ღერს სიგარეტს ამოიღებს, ორივეს ანთებს, შემდეგ თავისას ხელში სრესს*) რა მოხდა?

**ნატალია:** არ მოვწევ. იქნებ ეს მართლაც.... უკანასკნელი განსასჯელია? მოწევა ცოდვაა.

**ვიქტორია:** თუ ეს სინამდვილეა, აზრი არ აქვს უკვე შესცოდე თანაც ბოლომდე. ასე რომ, უბრალოდ შეგიძლია თავს ცხოვრებისეული სიამოვნებების - უფს, უკაცრავად - სიკვდილისეული სიამოვნებების უფლება მისცე.

**ნატალია:** (*ახალ სიგარეტს იღებს და ანთებს*) დამაჯერებლად ჟღერს.

**ვიქტორია:** ერთი ღერის მეტობით ან ნაკლებობით არაფერი შეიცვლება. ჯობს, რამე უფრო სერიოზულზე იფიქრო... ილოცეთუ, მორწმუნე ხარ.

**ნატალია:** (*მლოცველის ფორმას იღებს და ლოცვის წარმოთქმისას ტუჩებს თითქმის არც ამომრავებს*) შენ რატომ არ ინანიებ?

**ვიქტორია:** აზრს ვერ ვხედავ. მოვინანიებ თუ არა მაინც აი, იქ ვიქნები (*იატაკზე უთითებს*) ვერ შევძელი ღვთის მცნებების შესრულება. დაქორწინებულაც კი არ მეთქმოდა, ჩვენი ცოლ-ქმრული ცხოვრება რომ დამჟავდა და დავმორდიო, კოლეჯიდან გამომავდეს, ამას რაც მოყვა სხვა არაფერი იყო თუ არა ცხოვრებისეული კარუსელი. ბოლოს კი სულ ყელამდე გავივსე არსებობის წარმატებებითა და წარუმატებლობებით.

**ნატალია:** და მაინც, თუ გულწრფელად მოინანიებ... იქნებ საერთოდაც განსაწმენდელის მსგავს ადგილას ვართ? რაღაც მიზეზით არ მოვიდნენ, შეიძლება სწორედაც უნდათ რომ შეცვლის საშუალება მოგვცენ.

**ვიქტორია:** ამას იმიტომ ამბობ, რომ ჩემთან მიმართებაში უბრალო დამთხვევაზე მეტი ხარ. მთელი ცხოვრება მზის ამოსვლიდან, მზის ჩასვლამდე მუშაობ, ერთ კაცთან ცხოვრობ ამდენი ხანი და ალბათ არც გიღალატნია მისთვის. ჰა?

**ნატალია:** ბევრი რამ არც იცი ჩემს შესახებ, არა? ამაზე უკეთესი ის იქნებოდა რომ მეღალატა მისთვის.

**ვიქტორია:** რა ამაზე? (*პაუზა*) კარგი თუ თქმა არ გინდა.

**ნატალია:** შენს წინაშე რომ მოვინანიო რას იტყვი? ისე თითქოს მღვდელს ვაბარებ აღსარებას.

**ვიქტორია:** ერთიწუთით(*სიგარეტს აქრობს*) ახლა დაიწყე.

**ნატალია:** მოკლედ რომ ვთქვა, ორი აბორტი გავიკეთე... მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელი ღლაპი ვიყავი, შემთხვევით გაცნობილი ბიჭისაგან დავორსულდი...

**ვიქტორია:** საკმარისი ახსნაა. მეორეზე რას მეტყვი?

**ნატალია:** მეორედ როცა უკვე დაქორწინებული ვიყავი. მაშინ ერთ ოთახიან ბინას ვქირაობდით და ისეთ სიღატაკესა და სიბინძურეში ვცხოვრობდით რომ ზავშვის გაჩენის წინააღმდეგ წავედი. მოგვიანებით მესიზმრებოდა კიდევ ჩემი პატარა ბიჭი. აი, თითქოს ქარბუქი იყო, ვიღაც კარზე აკაკუნებდა და ჩუმიად ამბობდა : „დე, შემომიშვი, მეშინია!“ ვალებდი მაგრამ, გარეთ არავინ

მხვდებოდა. ყოველდღე მემეღვიძებოდა და მწარედ ვქვითინებდი. მითხრეს, რომ ნებისმიერი აბორტი ქორწინების დასასრულს ნიშნავს, რომ ქალმა საკუთარ ისიცოცხლით უნდა ზღოს ახალის შეწყვეტისათვის, იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ რაც შემდგომ მოჰყვება.

**ვიქტორია:** თითქმის ყველა ქალი აბორტს იკეთებს, ასეთია ცხოვრება. ჩემთან გაცილებით უფრო ცუდად იყო საქმე. ორსულობის დროს ვიღაცასთან მიღალატა და ბარგი-ბარხანა ავუკარი. ის კი წავიდა, მაგრამ ჩემი საწყალი გოგონა მკვდარი დაიბადა - ჭიპლარში გაიხლართა და დაიხრჩო - ამბობენ, თუ ნაყოფი რამეში დანაშაულს გრძნობს, თავს იხრჩობსო.

**ნატალია:** ნუთუ მსგავსი რამეები „იქ“ მართლა ესმით?

**ვიქტორია:** ჩვენზე უკეთ. იცი რა, უმჯობესი იქნებოდა აბორტი გამეკეთებინა - ორივესთვის ნაკლები ტკივილი იქნებოდა, განსაკუთრებით ჩემი პატარა გოგონასათვის...

**ნატალია:** ტანჯვით ბევრი ცოდვის გამოსყიდვა შეიძლება.

**ვიქტორია:** ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, უკვე გადავლახე ეგ ამბავი. *(ტელეფონი რეკავს, ორივე ადგილზე იყინება)* უპასუხე, მაგრამ ამჯერად ყველაფერი დეტალურად გამოკითხე.

**ნატალია:** არა, შენ უპასუხე, შენი ჯერია! *(კაუზა)* უპასუხე, თორემ გაჩერდება!

**ვიქტორია:** *(ყურმილს იღებს)* გისმენთ... ვინ არის? დიახ.. მე უბრალოდ მინდა რომ... *(ყურმილს კიდებს)*

**ნატალია:** რა თქვა?

**მეოთხე სცენა**

**ვიქტორია:** ასე თქვა „არ ინერვიულოთ, მალე მოვალთო“ და დაამატა, გაუაზრებელი ნაბიჯი არ გადადგათ და ზიანს განერიდეთო.

**ნატალია:** მოიცა, ერთ წუთს. თუ ზიანს უნდა მოვერიდოთ გამოდის რომ ცოცხლები ვყოფილვართ, არა?

**ვიქტორია:** რათქმა უნდა. რა ნაბიჯი? გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმა გვამს სად შეუძლია? დღესავით ნათელია ცოცხლები ვართ.

**ნატალია:** რაღაც ექიმის გარანტიასავით ჟღერს: გთხოვთ არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება და ფეხს თუ ძირში მიგაჭრიან, მერე რა, მაინც არაფერში გჭირდებათ. მიხვდი? ხშირად თვრებოდით?

**ვიქტორია:** მხოლოდ ახლა და მაშინაც.

**ნატალია:** მე კიდევ ნამდვილი ლოთი ვიყავი. თეთრი ცხელება და რამე - აი, რა არის ჩვენი სენი ძვირფასო.

**ვიქტორია:** რა? მგონი გააფრინე.

**ნატალია:** რა თქმა უნდა გავგიჟდი. ჩემი საქმე ხომ სტრესითა და დადლილობით სავსე ნერვოზს უკავშირდება. ასე რომ საკმარისი წებო არასოდესაა ერთ ნაწილად რომ მიმიმაგროს.

**ვიქტორია:** რას ბოდავ? იმას ხომ არ გულისხმობ რომ ვიღაც დარტყმულები ვართ?

**ნატალია:** ორი არჩევანია: ან ჩვენ ვართ დარტყმულები ან კიდევ ისინი, ვინც გარეთ დარჩნენ, ოღონდ ჩვენზე გაცილებით უარესნი არიან.

**ვიქტორია:** კარგი ჩავთვალთ რომ ასეა.... მაგრამ აქ რას გამოგვეკეტეს?

**ნატალია:** იმიტომ რომ ჩვენ ერთგვარი მანიაკალურ-დეპრესიული სინდრომი გვაქვს და საშიშვლებით ვართ საზოგადოებისათვის.

**ვიქტორია:** მაშინ, რატომ არა საგიჟეთში და, რატომ მორგში?

**ნატალია:** როგორც ვხვდები მუშაობისას გამოჯანმთელებისმეთოდთან გვაქვს საქმე.

**ვიქტორია:** მაგრამ მე აქ არანაირ სამუშაოს არ ვასრულებ!

**ნატალია:** შეიძლება, დროებითი სამუშაო იყოს.

**ვიქტორია:** მაშინ ეს ფრაზა „ზიანს განერიდეთ“ რაღას ნიშნავს?

**ნატალია:** ანუ იმას, რომ თავით კედელს არ გაიტან და საჯარო საკუთრებას არ დააზიანებ.

**ვიქტორია:** ჩემი თავია საჯარო საკუთრება?

**ნატალია:** არა, კედელი ან ეს დაწყევლილი კარი (*კარს მიაწყდება გასაღებად, მაგრამ ჩერდება*)

**ვიქტორია:** (*ჩაფიქრებული*) ნეტავ, რანაირი დარტყმული ვარ თუ ფხიზლად შემიძლია აზროვნება?

**ნატალია:** გირჩევნია, მაგ შენი ფხიზელი გონებით აზროვნებას მოეშვა. ერთი ვისი იდეა იყო ქვედა სამყაროზე საუბარი?

**ვიქტორია:** და ატომურ ზამთარზე ვინ საუბრობდა?

**ნატალია:** რამდენადაც ვატყობ, შენ ხარ ტიპური შიზოიდ პარანოიკი, ხოლო მე პარანოიდ შიზოფრენიკი.

**ვიქტორია:** ღმერთო დიდებულო, რა იდიოტურად ჟღერს.... თუმცა, სიმართლეს ჰგავს. მომისმინე, შენ ექიმი ხარ და რაღაც-რაღაცები გეცოდინება. გაცნობიერებული მაქვს რომ ცოტა დარტყმული ვარ, მაგრამ საბოლოოდ როდის გავაფრენ?

**ნატალია:** მე რავიცი, ფსიქიატრი კიარ ვარ. გქონია ოდესმე ისეთი განცდა თითქოს ვიღაც გითვალთვალებდა?

**ვიქტორია:** (*ცდილობს გაიხსენოს*) კი. როცა მოკლე კაბას ჩავიცვამდი ხოლმე, ვიღაც სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ტიპი ამეკიდებოდა და ჩემს ნაკვალევს ძალღივით დასდევდა.

**ნატალია:** გრძელ კაბაზე რაღას მეტყვი?

**ვიქტორია:** გააჩნია სიგრძეს, მაგრამ როცადიდზე მქონდა ჩახსნილი, ეფექტი ყოველთვის იგივე იყო.

**ნატალია:** ხედავ? აკვიატებული იდეები, შეუპოვარი ასოციაციებით.

**ვიქტორია:** დედიკო, არ მინდა დარტყმულების სახლში მოხვედრა.

**ნატალია:** ასე ძალიანაც ნუ ინერვიულებ. პაციენტები ყოველთვის უკეთეს პირობებში არიან ვიდრე ექიმები - უსაქმურობა და დასვენება გვევალებათ, ეგაა და ეგ. ეს ექთნები უნდა შეგეცოდოს სულ აქეთ-იქით რომ დარბიან და ყველა დარტყმულის პრეტენზიებს უსმენენ. შენი აზრით მორგში რატომ ვმუშაობ? აქ ყველა ბედნიერია და არავინ გეკამათბა. მკვდარი პაციენტები ათასჯერ უკეთესები არიან ცოცხლებზე.

**ვიქტორია:** ჰეი, მე კი ვიცი რითიც ხარ გადაღლილი! ნეკროფილია.

**ნატალია:** შენ ხო არ გააფრინე? თითის დაკარებაზე მეტად, მაგათ ცხოვრებაში არ შეეხებივარ.

**ვიქტორია:** ანუ პლატონური ნეკროფილი ხარ! პირველი ფაზა.

**ნატალია:** მე კი ვფიქრობ, რომ შენ უკვე სიგიჟის უკანასკნელ ფაზაზე ხარ მისული. *(პაუზა, სიჩუმე)* მომისმინე, ვიცი რაც უნდა გავაკეთოთ, ჩვენი აქედან გაყვანა რომ ვაიძულოთ. მოდი ისე მოვაჩვენოთ თავი თითქოს გამოჯანმრთელების გზაზე ვიყოთ. გასაგებია?

**ვიქტორია:** *(თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, ხმამაღლა ამბობს)* აღარასოდეს დავლევ!

**ნატალია:** მე კიდევ გვამებს ცხოვრებაში აღარ მივუახლოვდები. ხვალვე მივატოვებ ამ მკვდრების სახლს. არა, დღესვე წავალ.

**ვიქტორია:** ლიქიორის სუნიც კი გულს მირევს.

**ნატალია:** მე კიდევ ამ სუნს ვეღარ ვიტან.

**ვიქტორია:** ჩემი ნათქვამი რომ დავამტკიცო, ალკოჰოლიკების საზოგადოებაში გაწვევრიანდები გამოსასწორებლად.

**ნატალია:** მე კიდევ ყველაზე ცუდ შემთხვევაში სასწრაფო დახმარების გუნდში გაწვევრიანდები ან ანალიზების მისაღებად ვიმუშავებ ამ საზიზღარი მორგის ნაცვლად. *(ტელეფონი რეკავს, წყნარად პასუხობს)* ნეტა გაიგონეს ჩვენი ნათქვამი?

**ვიქტორია:** მიდი, აიღე ყურმული და ისე დაელაპარაკე როგორც ექიმი ექიმს.

**ნატალია:** გისმენთ.... დიახ *(პაუზა)* უკაცრავად, მაგრამ ვერ მეტყვით... *(ყურმილს დებს).*

**ვიქტორია:** აბა... რაო ექიმმა?

**ნატალია:** მგონი ექიმი სულაც არ იყო. ასე თქვა ვაგვიანებთო და თქვენ თვითონ მიიღეთ გადაწყვეტილებაო...

**მეხუთე სცენა**

**ვიქტორია:** გადაწყვეტილება რაზე?

**ნატალია:** არ ვიცი, მაგრამ შიზიკებად რომ გვთვლიდნენ, უფრო მეტს გვეტყოდნენ. შიზიკები გადაწყვეტილებებს არ იღებენ, ამას სხვები აგვარებენ მათ მაგივრად.

**ვიქტორია:** ზუსტად... თავად მიიღეთ გადაწყვეტილება ... არჩევანს გვიტოვებს.

**ნატალია:** მოიცა, შენ რაღაც კარგ აზრს მიაღდექი... იქნებ სახელმწიფოებრივი გადატრიალებაა ქვეყანაში.

**ვიქტორია:** რა გადატრიალება?

**ნატალია:** პოლიტიკური გადატრიალება, რატემა უნდა. მაშინ როცა მთავრობა საკუთარ ძალაუფლებაში ფლავდება, მასები სახლებში გამოკეტეს სხვა მხარეს რომ არ გადასულიყვნენ. ამიტომაც უნდა გადაწყვიტოთ, „ჩვენ მხარეს“ დავიჭერთ თუ „მათ მხარეს“ .

**ვიქტორია:** მაგრამ სად არის ეს „ჩვენი მხარე“ და „მათი მხარე“ ?

**ნატალია:** მაგას რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? იმაზე უარესი მაინც არაფერი იქინებოდა რაც ახლა ხდება.

**ვიქტორია:** რას ამბობ?

**ნატალია:** ან იქნებ ბოლოსდაბოლოს ეს ქვეყანა მწყობრში ჩააყენეს ვიღაც ვიღაცეების დაჭერთ, ზოგიერთების კიდევ გაყრით - ნამდვილად საკმარისია ცოტა თავისუფლად რომ ვისუნთქოთ.

**ვიქტორია:** ჩვენ რომ ვიყოთ მაგათ შორის მერე?

**ნატალია:** რატომ ჩვენ? და რისთვის?

**ვიქტორია:** მაგ შეკითხვაზე პასუხი რომ სცოდნოდათ, აქამდე მოახერხებდნენ რამეს. ჩვენ გვითხრეს რომ გადაწყვეტილება მიგველო, ანუ ეს იმას ნიშნავს რომ გამოვარკვიოთ ვინ არიან მემარჯვენეები და მემარცხენეები.

**ნატალია:** არ შეგიძლია უკეთ ამიხსნა?

**ვიქტორია:** რა უტვინო ვინმე ხარ, რა. მემარცხენეები იმისთვის არიან რომ ყველა ერთმანეთს დაამსგავსონ, ყველამ თანაბრად დაქვემდებარებულად იცხოვროს და იმისათვის რომ ტოტალური უნიფიკაცია მოახდინონ მოძმე ხალხებისა, მაშინ როცა მემარჯვენეები პატრიოტების განსაკუთრებული ჯიშია, რომელთაც ასევე სურთ რომ დაქვემდებარებულად ვიცხოვროთ, ოღონდ არჩევის საშუალებას გვაძლევენ. მათთვის მოძმე ხალხი ისინი არიან ვისაც ჩასუქებული საბანკო ანგარიშები აქვთ.

**ნატალია:** რაც იმას ნიშნავს რომ ყველას მოუწევს მაღალი ქუსლებიდან დაბლა დაშვება.

**ვიქტორია:** ვინ იცის. ანუ, თუ ჩვენ ვერ მივიღებთ გადაწყვეტილებას ყველას ცუდად წაუვა საქმე. განსაკუთრებით კი მე და შენ. ახლა გარკვევით ამიხსენი?

**ნატალია:** თითქმის. უმეტესად დარტყმულები რომელთანაც მოგვიწევს გამკლავება, მემარცხენეები არიან.

**ვიქტორია:** სუ... *(ჩუმად ამბობს)* დაუფიქრდი რას ამბობ. შეიძლება ფარულად გვიგდებდნენ ყურს.

**ნატალია:** *(ხმამაღლა)* მეც ასევე მომხრე ვარ ნათელი მომავლისა... ან, კიდევ უკეთესი, ნათელი აწმყოსი. სადაც ყველას - თითოეულ მოსახლეს - ექნება საკუთარი იახტა, ვილა და მერსედესის ფირმის მანქანა.

**ვიქტორია:** *(ჩუმად)* რას ბოდავ? რა მერსედესის მანქანა?

**ნატალია:** თუ ეგ არ მოგწონს, მაშინ ველოსიპედი იყოს ყველასათვის, ან კიდევ უკეთესი, სკეიტის დაფა.... წითელი ფერის. ნაკლებად ძვირია და ფიტნესის პრობლემებზეც იზრუნებს. უფრო მეტიც, ნატოში არც არაფერი დაგვრჩენია. ყოველთვის საცოდავი ხელმოცარულები როგორ უნდა ვიყოთ?

**ვიქტორია:** წარმოიდგინე სურათი, დასავლური ჯარი ჩვენთან შემოდის. უფს, მინდოდა მეტიცა მეგობრული, მოძმე ჯარი. მაშინ კი ნამდვილ ფუფუნებაში ვიცხოვრებდით.

**ნატალია:** როდის?

**ვიქტორია:** მაშინ როცა ეს დაწყებული ღამის კლუბები, კაზინოები, დისკოტეკები და სხვა კაპიტალისტური ნარჩენები დედამიწის ზედაპირიდან აღიგავება.

**ნატალია:** მართალი ხარ შენ. ეგ ყველაფერი ძილის საშუალებას არ გვაძლევს.

**ვიქტორია:** კაზინოში მოგება, საცერზე თხის მოწველას ჰგავს. ეგ ნაბიჭვრები ელექტრო აპარატებს აკეთებენ და კამათლის თამაშისას გვატყუებენ, აზარტულ მოთამაშეებს ხომ სულ აცუცურავენ. ათასჯერ მაინც ვცადე მოგება - მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ. ეგ ღორები ყველა გისოსებში უნდა ჩაყარო.

**ნატალია:** კაზინოების მაგივრად თეატრები, საკონცერტო დარბაზები და გალერეები უნდა გვქონდეს.

**ვიქტორია:** მართალია, მეძაგებსაც უნდა ჰქონდეთ ფიქსირებული სამუშაო საათები - ან დღისით ან ღამით. პროფკავშირებშიც უნდა იყვნენ გაწევრიანებულები, ის კი მათ შვებულებებზე უნდა ზრუნავდეს. მაგალითად ავადმყოფობის დროს, დასვენების უზრუნველსაყოფად და საერთოდ ყველაფრის უფლება უნდა ჰქონდეთ რაც ჩვეულებრივ მომუშავე ადამიანს აქვს.

**ნატალია:** ცუდი არ იქნებოდა უვადო შვებულებაშიც თუ გავუშვებდით. საკმარისია ამდენი პროსტიტუცია. ქმარმა შემოსავალი სახლში უნდა მიიტანოს და არა ბოზეში ფანტოს. როგორც ამბობენ, ფულს ხომ ფასი საერთოდ აღარ აქვს ჩვენს დროში.

**ვიქტორია:** თუმცა ფული ყველაზე მთავარი მაინც არ არის.

**ნატალია:** არც მაშინ როცა ძალიან ბევრი გაქვს?

**ვიქტორია:** მთავარია გული მღეროდეს.

**ნატალია:** კარგი აზრია, მოდი ვიმღეროთ რევოლუციური სიმღერა *(თვალს უპაჭუნებს და ამბობს)* როგორც კი გაიგონებენ წავლენ და თავისუფლები ვიქნებით.

**ვიქტორია:** მოდი დავჭექოთ „ინტერნაციონალი“ *(მღერის ჩუმად)*... აღზდექით შიმშილის

პატიმრებო, აღზდექით ბილწო, საცოდავო დედამიწელებო, მართლმსაჯულებას მოაქვს განაჩენი: საუკეთესო მსოფლიო დაბადების პროცესშია. სულ ესაა რაც მახსენდება! (ოთახის ირგვლი დადის, თან მღერის ლა ლა ლა ტექსტის მაგვრად, უცებჩერდება) მოდი ცეცხლიც გავაჩინოთ... (ჩურჩულებს) და დავწვათ ყველა კომპრომატული კაპიტალისტური ნაგავი... აი, მაგალითად ეს პორნო ჟურნალი (იღებს ჟურნალს, მაგრამ ნატალია ცდილობს რომ წაართვას)

**ნატალია:** ეს არ არის პორნო, უბრალოდ ჩვეულებრივი ქალების ჟურნალია (გამოტაცებს ჟურნალს ვიქტორიას)

**ვიქტორია:** აბა ამ აბდა-უბდაზერას მეტყვი, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს საცურაო კოსტიუმი?

**ნატალია:** აბა, ზაფხულში ბეწვის ქურქით უნდა ვიაროთ? (მაღავს ჟურნალს საწერი მაგიდის უკრაში) უბრალოდ ... ახლახან მომივიდა თავში რომ მემარცხენეების სულაც არ უნდა შევეწინააღმდეგოთ.

**ვიქტორია:** აბავის?

**ნატალია:** შეეცადე გაიხსენო როგორ მოგიხსენია იმ კაცმა

**ვიქტორია:** მან თქვა პანი დიახ თქვა, თანაც უკრაინულად.

**ნატალია:** ხედავ, რა თქმა უნდამემარჯვენეები არიან, მემარცხენე ენას ნამდვილად არ მოიტეხდა ამ უკრაინული სიტყვის წარმოთქმით. უკვე გულს მირევს ეს ცრუ რაინდი პარლამენტარები, რომლებიც უკრაინულად ერთ წინადადებასაც ვერ გადაგიბამენ. აი, რუსებმა კი საკუთარი ენის გარდა თითქოს სხვა არა იციან რა.

**ვიქტორია:** ჰო მართალია, ბევრს ეს არ შეუძლია, ჩვენ მემარჯვენესთან გვაქვს საქმე.

**ნატალია:** რა უაზროდ ვლაპარაკობთ.

**ვიქტორია:** არა, ნათელი მომავალი კომუნის მრავალფეროვნებისა, ჩვენს ცხოვრებას ნაკუწებად აქცევს.

**ნატალია:** ხო, უკვე საკმარისად მეტიც ვიმეგობრეთ და გარდა ამისა მარტო სკეიტის დაფით შორს ვერ წავალთ.

**ვიქტორია:** დასავლეთში ხალხს წესიერი ცხოვრება აქვს, შეიძლება ჩვენც ოდესმე მივიდეთ ამ წესიერებამდე, მთავარია სწორი მიმართულებით ვიაროთ.

**ნატალია:** დასაწყისისთვის მოდი ჭეშმარიტი უკრაინელი ქალის მონახაზი გავაკეთოთ.

**ვიქტორია:** შემთხვევით, მოქარგული კოფთა ხომ არ გაქვს?

**ნატალია:** გგონია ქარგვა მკვდრებისთვის დროის გატარების საუკეთესო საშუალებაა?

**ვიქტორია:** ოჰ, როგორი სარკასტულები ვართ. უბრალოდ მაინტერესებდა. კარგი მოდი უფრო ახლოდან შევხედოთ ჩვენს წარმომავლობას, რა გვარი ხარ?



**ნატალია:** ვარლეტენკო, ქმრის გვართ.

**ვიქტორია:** *(იცინის)* ოჰო, რა მაგარი გვარი ჰქონია შენს ქმარს! დიდ ხანს ეძებდი? *(სერიოზულად)* თუმცა ჩვენი მდგომარეობისთვის იდეალური გვარია, ისე ლამაზად წამროაჩენს ეროვნულ ხასიათს და შენი ქალიშვილობის გვარი რა არის?

**ნატალია:** დატურმანი

**ვიქტორია:** უფ... ეს უარესია.

**ნატალია:** სულაც არა. მისი ლათინური ნახევარი ითარგმნება როგორც ლემა.

**ვიქტორია:** ჰო, და კიდევ ჰალუცინოგენსაც ნიშნავს. და ებრაული წარმოშობისაცაა. მართლა, გყავდა ვინმე ებრაელი წინაპრებში?

**ნატალია:** როგორც მე ვიცი არა... და მართლა ასე შეარყევდნენ ჩემს წარმომავლობას?

**ვიქტორია:** უფ, აბა რა. მთელი შვიდი თაობით. ერთს ვიცნობდი, ყველას გული გაუწყალა კითხვით უკრაინელი ვარ თუ არაო. ერთხელაც ვერდის „რიგოლეტოს“ მოსამენად დავპატიჟე ოპერაში. „უკრაინელი იყოო“? მეკითება. „ვინ“? „ვერდი თუ რიგოლეტო“-მეთქი და „ორივეო“ მიპასუხა. სასაცილოა არა?

**ნატალია:** სულაც არა. და შენს გვარზე რას მეტყვი?

**ვიქტორია:** *(მორგის დავთარს იღებს)* შეიძლება გვამიც ვიყო, ნუ დროებითი, ამ დოკუმენტების მიხედვით.

**ნატალია:** დროებით კი არა, მართლა მკვდარი უნდა იყო! *(ტელეფონი რეკავს, ორივე ქალი ადგილზე იყინება)* უპასუხე, ახლა შენი ჯერია. ოღონდ შეეცადე მისი ხმით გამოარკვიო რომელ პარტიას ეკუთვნის.

**ვიქტორია:** საცვლების ფერიც ხომ არ ვკითხო შემთხვევით? *(ყურმილს იღებს)* გისმენთ... *(ხანგრძლივი პაუზა)* რაააააააა? აქ გავიჭედეთ....

**ნატალია:** ასე უცებ? სად? მემარცხენეები არიან თუ მემარჯვენეები?

**ვიქტორია:** წარმოდგენაც არა მაქვს. აქ გავიჭედეთ სანამ ისინი საცობში არიან გაჩხერილები. გვითხრეს ყველაფრისთვის მოემზადეთო, ყველაზე უარესისთვისაც კიო.

### მეექვსე სცენა

**ნატალია:** ყველაზე უარესისთვის? ღმერთო ჩემო ამაზე უარესი რა უნდა იყოს, მკვდრები ვიყავით, შეშლილებიც, გადავიტანეთ ორი გადატრიალება და ბირთვული ომი. კიდევ რამდენი ხანი უნდა ვყავდეთ ასე გამოკეტილები?

**ვიქტორია:** ისიც გაითვალისწინე, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ დამნაშავეები აქამდე რომ მივიყვანეთ საქმე.

**ნატალია:** ოჰ, ეს წყეული გაურკვევლობა რა. ველარ ვიტან უკვე, ყველაფერს გავაკეთებ ოღონდაც ამ ნაგვიდანამოვძვრე.

**ვიქტორია:** ყველაფერს? მაშინ გაიხადე...

**ნატალია:**შენ სულ გააფრინე ხო?

**ვიქტორია:** არა უბრალოდ თავში ახალი აზრი მომივიდა და შევამოწმე. გინდა რომ ეს თავსატეხი დავასრულოთ? *(ნატალია უკან ხტება)* ნუ ჭოჭმანობ, მე იმდენად პირდაპირი ვარ, რამდენადაც ჩემი სექსუალური ორიენტაცია მაძლევს ამის საშუალებას.

**ნატალია:** რა მოიფიქრე? კარგი*(იწყებს გახდას)* მეგონა აქ სიცივე იყო.

**ვიქტორია:** არაუშავს, მალე შენთვის დაცხება.

**ნატალია:** რას გულისხმობ?

**ვიქტორია:***(ნატალიას შეათვალიერებს)*კარგი ფიგურა გაქვს, თანაც ყველაფერი თავის ადგილზეა.

**ნატალია:** რამდენი ხანი უნდა ვიდგე ასე აკანკალებული? რატომ არ ამიხსნი ბოლოსდაბოლოს რა ხდება?

**ვიქტორია:** შეგიძლია ჩაიცვა. ეშმაკმა იცის რა არ მოვიგონეთ მაშინ როცა, ყველაფერს უბრალო და ბანალური ახსნააქვს. შეხედე ამას სხვა მხარიდან: მაგალითად, ისეთი ცუნცულები, როგორც ჩვენ ვართ, უცაბედად უადგილო ადგილას ამოყოფენ თავს. რა საჭიროა უხადო დედაკაცებს საერთოდ? უმჯობესია გამოკეტო სადმე, ცოტაოდენი ფსიქოლოგიური ზეწოლდა და ყველაფერს თავად გააკეთებს, როგორც შენ ამბობდი.

**ნატალია:** იცი?...მისი დახშული ხმა ისე ჟღერდა, თითქოს პირი აეკრას ვინმეს... დედა ძვირფასო რა უნდა გავაკეთოთ ახლა?

**ვიქტორია:** თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა. ხომ იცირასაც ვგულისხმობ.

**ნატალია:** სერიოზილად ამბობ რომ ჩვენ...

**ვიქტორია:** ჭირვიტ მეზარება, მაგრამ, როცა ყველაფერი....

**ნატალია:** აქედან უნდა გავიდეთ...

**ვიქტორია:** ეგ უკვე ვცადეთ... შეიძლება აქ სადმე დამალვა?

**ნატალია:** ალბათ, მხოლოდ გვამებს შორის, მაგრამ სულაც არ ვაპირებ მათ კომპანიას შევუერთდე. თუმცა მანდაც ადვილად მოგვებნინან.

**ვიქტორია:** არც მე ვაპირებ, გამოდის რომ სხვა გზა არ გვაქვს.

**ნატალია:** შევეწინააღმდეგები, ვიყვირებ, ვიჩხუბებ, ბოლოსდაბოლოს პოლიციაში დარეკვით დავიმუქრები.

**ვიქტორია:** რა სულელური დამოკიდებულებაა. თუ გინდა თავის გახეთქვამდე იყვირე მაინც ვერავინ გაიგონებს შენს ხმას. გაზეთები არასოდეს წაგიკითხავს? ჩუმად გააკეთებ საქმეს, მიჩქმალავ შენს ბინძურ ნამუშევარს და წახვალ. აი თუ იმუქრები, ზედ მიგაკლავენ და დამთავრდა.

ერთი გვამით მეტი იქნება თუ ნაკლები არაფერს შეცვლის - მაცივარშია გამოკეტილი და ვერც ვერავინ გაიგებს.

**ნატალია:** მაგამი კი ცდები. მკაცრად ვინახავთ ჩანაწერებს.

**ვიქტორია:** ოჰ რაიმე მნიშვნელობა აქვს შენთვის? ჯობს ნახევარ საათიანი არასასიამოვნო შეგრძნებები გამოცადო ვიდრე გვამად გადაიქცე. სკოლის მძიმე ამბებით ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ აქ, რაც თავს გადამხდა, სრულიად საკმარისი იყო.

**ნატალია:** მაგრამ არ შემძლია თავს დავაძალო, რომ პირველივე შემხვედრთან გავაკეთო ეს.

**ვიქტორია:** მომისმინე ქალბატონო, ეს დანტისტთან ვიზიტი არ იქნება. მხოლოდ გარკვეული მოძრაობების გაკეთება მოგიწევს და ეგაა.

**ნატალია:** როგორ?

**ვიქტორია:** ერთხელ მეეზოვემ შემომთავაზა. შენთან რაღაც ძალიან, ძალიან კარგ რამეს ვიზამო, მე ვუპასუხე რომ პარტნიორი უკვე მყავდა ამ საქმისათვის, ამაზე კი ასე მომიგო: „მაშინ წარმოიდგინე რომ მე ისა ვარ, დისკომფორტს ნამდვილად არ შემიქმნის“.

**ნატალია:** დათანხმდი?

**ვიქტორია:** რა თქმა უნდა არა მაგრამ, ჩვენ შემთხვევაში სულ სხვა ამბავია. სულაც არ არის საჭირო ნეგატიური პოზის მიღება. შეუძლებელია რაღაც მახინჯ მაიმუნებს ჰგვანდნენ, უფრო სიმპატიური ბიჭებიც იქნებიან.

**ნატალია:** სიმპატიურს ისედაც შეუძლია ქალი მოძებნოს. *(ტელეფონი რეკავს)*

**ვიქტორია:** უპასუხებ?

**ნატალია:** ჯობს შენ უპასუხო, იცი რა არის...

**ვიქტორია:** *(ტელეფონს იღებს)* გისმენთ..... *(ხანგრძლივი პაუზა. ყურმილს კიდებს. მკაცრ გამომეტყველებას იღებს)*

**ეპილოგი**

**ნატალია:** რაო, რაო რა თქვა? *(პაუზა)* რას გაჩუმებულხარ *(პაუზა)* ნუ მაშინებ. ის იყო რასაც ფიქრობდი? *(ვიქტორია უარის ნიშნად ხელს აქნევს)* მაშინ რა? ვინ იყო? ნუ მაწამებ!

**ვიქტორია:** არ ვიცი. ასე თქვა რომ აზრი შეიცვალეს და აღარ მოვლენ.

**ნატალია:** კი მაგრამ რატომ?

**ვიქტორია:** ეგ არ უთქვამს მაგრამ დააყოლა: „თქვენთვისონ გადაწყვიტეთ წახვალთ თუ დარჩებითო“

**ნატალია:** მაშინ მე... მოიცა ერთ წუთით. ის მაინც თუ იციან რომ გამოკეტილები ვართ?

**ვიქტორია:** *(ჩაფიქრებული)* მგონია თითქოს იმაზე მეტი იციან ჩვენზე, ვიდრე ჩვენ ვეჭვობდით, შეიძლება უფრო მეტიც ვიდრე ჩვენთვის ვიცით.

**ნატალია:** აჰა, გამოდის რომ ისევ ნულზე ვართ: არ ვიცით ვინ ვართ, სად ვართ, რა მოგვივა და ვინ ან როდის გააღებს კარს.

**ვიქტორია:** მოიცა ერთიწუთით: გვითხრა რომ წასვლა შეგვიძლია, აბა ისევ სცადე გაღება.

**ნატალია:** აღარ შემიძლია ამდენი მცდელობა. ჰო კარგი, ისევ ვცდი რომ ეჭვები აღარ დაგრჩეს. *(ხელს კრავს კარებს, აღმოჩნდება რომ ღიაა, და ნატალია თითქმის გარეთ გავარდება)* არ არსებოს! გვირახიც მოჩანს და მის ბოლოს ნათელიც.

**ვიქტორია:** *(მეორე კართან მივბის, ისიც ღია ხვდება)* მე კიდევ მგონი ქუჩასა და განთიადს ვხედავ. საათს დახედე ჩქარა!

**ნატალია:** მაგრამ... *( საათს წამოწევს და ყურთან მიიტანს)* წიკწიკებს! ნუთუ მართლა გამოვძვერით? მართლა თავისუფლები ვართ?

**ვიქტორია:** დასასრულიო ამბობ? პირიქით, ეს მხოლოდ დასაწყისია.

**ნატალია:** ისევ რამე ახალი სცენარი მოიფიქრე? რომელ დასაწყისზე ლაპარაკობ?

**ვიქტორია:** უარესზე. გახსოვს უარესი გზა რომ ახსენა?

**ნატალია:** რატომ უარესი?

**ვიქტორია:** ვერ გაიგე? არჩევანის უფლებას გაძლევენ...

**ნატალია:** მერე რა არის ამაში ცუდი?

**ნატალია:** ახლა, არჩევანი გადმოგვიგდეს, ისე როგორც ძაღს უგდებენ ძვალს. აჰა, მიიღე ეს თავისუფლება ან მიაფურთხე! შეგიძლია წახვიდე ან დარჩე. შეგიძლია იცოცხო ან მოკვდე. მხოლოდ შენზეა დამოკიდებული რას აირჩევ. არც ქვემოდან გელობება ვინმე და არც ზემოდან. უბრალოდ არაფერი! არავინაა ვისთანაც შენს გასაჭირსა და შეცდომებზე იკამათებ. არ არის აუცილებელი ნებისმიერ ვითარებას მოერგო. შენვე ქმნი ამ ვითარებას. შენი სიტყვები, შენი ნაბიჯები, შენი აჩრდილები - ეს ყველაფერი ექსკლუზიურად შენ გეკუთვნის. მთელი ამ ხნის განმავლობაში იმას ველოდით ვინც კარს გააღებდა - მაგრამ უშედეგოდ. და ყველაზე სამინელება ის არის, რომ ტელეფონი აღარ დარეკავს - უბრალოდ გვერდით ჩაგვიარეს. აი, ყველაზე ცუდი რისი გაკეთებაც კი ჩვენთვის შეეძლოთ...

**ნატალია:** ჩვენ რალა მოგვივა ახლა?

**ვიქტორია:** არ ვიცი....

*(ქალები მეგობრულად გადაეხვევიან ერთმანეთს სცენის შუაში. ორივე კარი ფართოდ არის გაღებული. შუქი, რომელიც მათგან გამოდის განსხვავებულია, თითქოს სხვადასხვა სამყაროდან გამოდიოდეს. ქალები გაშეშებულიები დგანან. არ იციან როგორ მოიქცენენ. შუქი ნელა ქრება)*